



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტული ეროვნული კომისია

გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4/8

2024 წლის 1 თებერვალი

ქ. თბილისი

**შპს „მტკვარი ენერჯის“ (№9 ენერგობლოკი) მიერ შესასყიდი ბუნებრივი გაზის
სახელშეკრულებო ფასის შეთანხმების შესახებ**

2023 წლის 5 დეკემბერს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (შემდგომში – კომისია) შპს „მტკვარი ენერჯიმ“ წარმოადგინა №191/1 წერილი და მოითხოვა მას და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს“ შორის 2024 წლის იანვარი-ივნისის პერიოდზე ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება.

2023 წლის 28 დეკემბერს და დამატებით 2024 წლის 29 იანვარს კომისიაში შემოვიდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო), შესაბამისად, 27 დეკემბრის №24/12065 და 26 იანვრის №24/473 წერილები, რომლებიც ითვალისწინებს 2024 წლის იანვრიდან შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტის“ მიერ გარანტირებული სიმძლავრის მიწოდებასთან დაკავშირებული საჯარო მომსახურების გამწევი თბოელექტროსადგურებისათვის (გარანტირებული სიმძლავრის წყაროები) მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასს, რომელიც განსხვავდება შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებაში მითითებული ფასისგან.

ამასთან, შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტმა“ და შპს „მტკვარი ენერჯიმ“ (შემდგომში – ხელშეკრულების მხარეები) კომისიაში წარმოადგინეს, შესაბამისად, 2024 წლის 29 იანვარს №01/H-05 და 30 იანვარს №15/1 წერილები და განაცხადეს მზადყოფნა სამინისტროს ზემოაღნიშნული წერილებით განსაზღვრული ფასით ბუნებრივი გაზის შესყიდვის თაობაზე.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და „ელექტროენერჯიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული

კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილებით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოების ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-15 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. შეთანხმებულ იქნეს კომისიაში შემოსული სამინისტროს 2024 წლის 26 იანვრის №24/473 წერილით გათვალისწინებული და ამასთან დაკავშირებით ხელშეკრულების მხარეების მიერ კომისიაში წარმოდგენილი, შესაბამისად, 2024 წლის 29 იანვარს №01/H-05 და 30 იანვარს №15/1 წერილებით დადასტურებული, შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ ელექტროენერჯის წარმოებისთვის საჭირო ბუნებრივი გაზის შესასყიდი ფასი, შპს „მტკვარი ენერჯის“ მიერ 2023 წლის 5 დეკემბერს №191/1 წერილით კომისიაში წარმოდგენილი ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიშსწორების პირობებით და მოქმედების პერიოდზე – 2024 წლის იანვარი-ივნისი.
2. კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ხელშეკრულების ფასის, ანგარიშსწორების პირობების და მოქმედების პერიოდის გამოქვეყნება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org).
3. დაევალოს შპს „მტკვარი ენერჯის“ ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით შეთანხმებული პირობებით (ფასი, ანგარიშსწორების პირობები და მოქმედების პერიოდი) გაფორმებული ბუნებრივი გაზის შესახებ ხელშეკრულების კომისიაში წარდგენა.
4. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), მისი საჯაროდ გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში.


6. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს. დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე 

გივი სანიკიძე

კომისიის წევრი 

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი 

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი  

დავით თვალაბეიშვილი

კომისიის წევრი 